საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №195/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- -- და -- -- 2018 წლის 19 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის №195/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- წარმოებაშია -- -- სარჩელი, მოპასუხეების: -- -- და -- -- მიმართ. აღნიშნულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია 2018 წლის 31 მაისს. საჩივრის ავტორის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსამართლემ გამოიტანა მიკერძოებულად. კერძოდ, პოლიციის თანამშრომლის მიერ შედგენილი აქტის მიხედვით, რომელიც განჩინებაში მითითებულ მისამართზე იყო მისული გზავნილის ჩასაბარებლად ტელეფონით ესაუბრა ადრესატს, რის შემდეგაც სასამართლოს გააჩნდა ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია გზავნილის ადრესატის მისამართის შესახებ და ასევე ქონდა მისი ტელეფონის ნომერი. შესაბამისად, მოსამართლეს შეეძლო მხარე სასამართლოში დაებარებინა გზავნილის ჩასაბარებლად, ან მის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინება სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა 2018 წლის 11 მაისს, მას შემდეგ რაც სასამართლოსთვის ოფიციალურად გახდა ცნობილი მისი ტელეფონის ნომერი და ორივე კომპანიის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე თავისი ქმედებებით ხელს უწყობდა მოსარჩელეს არაკანონიერი მიზნების მიღწევაში. კერძოდ, პარალელურად იმავე საქმეზე, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენს -- --, ხოლო მოპასუხეს საჩივრის ავტორი, -- --, საქმე ზეპირი მოსმენით განიხილა 2018 წლის 15 ივნისს, სადაც მოსამართლეს სთხოვა სასამართლო სხდომის ჩანიშვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, რაზეც მიიღო პასუხი, რომ დატვირთული გრაფიკის გამო სექტემბრამდე ვერაფრით განიხილავდა საჩივარს. თუმცა დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღო 12 დღის ვადაში და მიუხედავად იმისა, რომ

სამოქალაქო პროცესის თანახმად მხარეს გადაწყვეტილება ბარდება არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, მოსარჩელეს დაჩქარებული წესით ჩაბარდა 12 დღეში და სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნა იმავე დღეს, რომელიც მეორე დღესვე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში, ისე რომ საჩივარზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ ჰქონდა ნამსჯელი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 22 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების თხოვნით. საქმე შემთხვევითი განაწილების პრინციპით გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 26 მარტს სასამართლოს წარედგინა დაზუსტებული სარჩელი -- -- და -- --, მოპასუხეების -- --, -- --, -- -- მიმართ ზიანის ანაზაურების და უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თხოვნით.

2018 წლის 1 მაისს მოსარჩელეებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხე მხარისთვის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებასთან დაკავშირებით. 2018 წლის 2 მაისის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს დაევალა გზავნილის მხარისათვის ჩაბარება. 2018 წლის 10 მაისს სასამართლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოდან წარედგინა ოქმი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე მხარე გადასული იყო სხვა მისამართზე, -- -- 2018 წლის 11 მაისს მიღებული იქნა განჩინება -- -- და -- -- მიმართ საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ.

2018 წლის 15 მაისს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სარჩელის გამოხმობის მოთხოვნით მოპასუხე - -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში. 2018 წლის 28 მაისის განჩინებით -- -- სარჩელი -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დარჩა განუხილველი.

2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- -- და -- -- მიმართ დაკმაყოფილდა; -- -- და -- -- აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე, -- -- მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა და დაევალათ ამავე მიწის ნაკვეთზე უკვე განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟი. გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით -- -- აეკრძალა -- -- მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის გაგრძელება.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე 2018 წლის 19 ივნისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2018 წლის 8 ივნისს მოპასუხეებმა საჩივრით მიმართეს სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. 2018 წლის 13 ივნისის განჩინებით მოპასუხეების საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. 2018 წლის 27 ივნისს მოპასუხეებმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს საჩივრის შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განხილვის თხოვნით. 2018 წლის 28 ივნისს -- -- და -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს იძულებითი აღსრულების ღონისძიების გადავადების თაობაზე.

2.2 პარალელურად საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 ივნისის არსებითი გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. 2018 წლის 27 ივნისს -- -- სასამართლოში წარადგინა სააპელაციო საჩივარი 2018 წლის 15 ივნისის არსებით გადაწყვეტილებაზე. 2018 წლის 28 ივნისს საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში. 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორს ხარვეზის შევსების მიზნით განესაზღვრა 7 დღის ვადა. 2018 წლის 17 ივლისს საქმე დაბრუნდა საქალაქო სასამართლოში.

2.3 2018 წლის 4 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტების შესახებ. 2018 წლის 6 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი

გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის (გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ) განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. 2018 წლის 16 ივლისს განცხადებით მიმართა -- -- და -- -- სასამართლოს საჩივრის განხილვის თხოვნით. 2018 წლის 16 ივლისს განცხადებით მიმართა სასამართლოს -- -- და -- -- და 2/8793-18 საქმის ორ დამოუკიდებელ საქმედ გაყოფა ითხოვა.

2018 წლის 20 ივლისის საოქმო განჩინებით -- -- და -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება; -- -- და -- -- შესაგებელის წარსადგენად განესაზღვრათ 10 დღე; გაუქმდა -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გამოყენებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც -- -- აეკრძალა -- მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის გაგრძელება. 2018 წლის 26 ივლისს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი.

2.4. 2018 წლის 1 აგვისტოს საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

3.1. -- --, -- -- და -- -- 2018 წლის 19 ივლისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

3.2. -- --, -- -- და -- -- 2018 წლის 19 ივლისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 2.1 მუხლის

თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მნიშვნელოვანია რომ მოსამართლეებმა ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად დაიცვან და პატივი სცენ იმ ნდობას რომლითაც საზოგადოება ეკიდება მოსამართლის ოფისს და იზრუნონ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა დაცვაში ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების იმპლემენტაცია საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს… მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და

მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და მოსამართლეს არ დაუშვია სამართლებრივი შეცდომა. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ დისციპლინური გადაცდომა და სამართლებრივი შეცდომა“ (სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე).

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2018 წლის 10 მაისს სასამართლოსთვის ცნობილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოდან წარდგენილი ოქმის მიხედვით, რომ მოპასუხე მხარე გადასული იყო სხვა მისამართზე.

განსახილველი საკითხი წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებასთან. ამასთან, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, შეფასება უნდა განხორციელდეს იმ კუთხით, საპროცესო წესის დარღვევა, არსებული შედეგების, ქმედების ხასიათის გათვალისწინებით, რამდენად შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ერთმნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ვალდებული იყო მისთვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხისათვის გზავნილი, ან ჩაებარებინა სასამართლოს შენობაში. რის გამოც, მის მიერ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის დანაწესი. რადგან არ არსებობდა საკმარისი პროცესუალური შემადგენლობის ნიშნები, მოპასუხე მხარეს გზავნილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით არ ჩაბარებია.

დადასტურებულ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტთან მიმართებით, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, რელევანტურია გამოირკვეს და შეფასდეს სხვა გარემოებებიც. კერძოდ, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და აღინიშნოს, რომ მხოლოდ საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ იძლევა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციის შესაძლებლობას და მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ჩადენის შეფასების პროცესში, სავალდებულო წესით კუმულაციურად მხედველობაში მიიღება: მოსამართლის ბრალეულობა და მისი ხარისხი, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, შეცდომის ხარისხი, მოსამართლის მოტივი, ქმედებათა განმეორებითობა და ინტენსივობა და ა.შ.[1]

კონკრეტულ შემთხვევაში დაშვებული შეცდომის დისციპლინურ ქმედებად კვალიფიკაციისთვის, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

- საქმეში არსებულ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, შეცდომასთან მიმართებით მოსამართლის დამოკიდებულებიდან არ იკვეთება მოსამართლის მოტივი, რაც განაპირობებდა არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებით შეცდომის დაშვებას.
- საქმეზე დაშვებულია შეცდომა, რაც ექვემდებარებოდა გასწორებას. კერძოდ, -- -- სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, მოპასუხე მხარის საჩივრის საფუძველზე, გაუქმდა -- -- სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის საოქმო განჩინებით. მითითებული გარემოება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იგი გამორიცხავს შედეგობრივად მხარის უფლებების არსებითად დარღვევის შემთხვევას (შეცდომის ხარისხი).

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე, 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში, აღნიშნავს, რომ „შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი - არის ძირითადი ფაქტორები, რაც ქმნის მიჯნას დისციპლინურ

[1] სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის, შესაბამისად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს მოსამართლის ქმედებას ზუსტად უნდა მიენიჭოს კვალიფიკაცია. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, თუ ქმედება ექცევა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული პრინციპის ურყევი შესრულება პირდაპირ არის დაკავშირებული მოსამართლის ხელშეუხებლობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასთან“.

არსებულ მოცემულობაში კი, შეცდომის ხარისხის, მოსამართლის მოტივის, ქმედებისადმი მისი განზრახი და ასევე, უხეში გაუფრთხილებლობის გამომრიცხავი დამოკიდებულების გამო, საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი უნდა შეფასდეს სამართლებრივ შეცდომად, რაც ქმედების დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაციას გამორიცხავს.

4.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259^1 მუხლის შესაბამისად, ასევე 259^1 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259^1 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მომზადება და მხარისთვის ჩაბარება ემსახურება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლის მიკერძოების ფაქტს. შესაბამისად, ვადაზე ადრე გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №195/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი